# მედია, როგორც ინტერტექსტი თანამედროვე კინოში

ავტორი: **ირინე შავლაძე**

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

**სამაგისტრო პროგრამა: სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები**

**(კინომცოდნეობა)**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეო ხატიაშილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

# განაცხადი

*ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ირინე შავლაძე

2024

# აბსტრაქტი


აღნიშნული კვლევა შეისწავლის ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შთამბეჭდავი მხატვრული სახის, მითოლოგიური გმირის, მედეას ინტერტექსტებს თანამედროვე კინოში. ნაშრომში განხილულია ქართული და უცხოური ფილმები, რომლებშიც მითოსური ფიგურის, მედეას კომპლექსურობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციაში გამოვლინდება.

მითები და მითოლოგიური სახეები სხვადასხვანაირი ინდივიდუალური გამოხატვის მექანიზმებით, კინემატოგრაფიის საშუალებით, ყოველთვის ცოცხლდებოდა და დღემდე ასე გრძელდება, გამომდინარე იქიდან, რომ მითი უნივერსალური სისტემაა, რომელიც თავისი სიმბოლური მნიშვნელობებით სხვადასხვა ეპოქასა თუ კულტურაში თავის ადგილს პოულობს. გლობალიზებულ სამყაროში მითების ხელახალი წარმოდგენა თანემდროვე კინოში, იდენტობაზე, ღირებულებებსა და ადამიანურ გამოცდილებებზე დიალოგის წარმართვას უწყობს ხელს. მითოლოგიურ თემებზე დაფუძნებული ფილმები უფრო ფართო ადამიანურ ისტორიასთან აბამს კავშირს, შესაბამისად მაყურებლის წარმოდგენა სხვადასხვა კულტურებსა და პერსპექტივებს შორის მდიდრდება.

ნაშრომი მიზნად ისახავს,  ფილმებისა და ლიტერატურის ანალიზით, რომლებიც მედეას მითის ინსპირაციით შეიქმნა, დაადგინოს, თუ როგორ მნიშვნელობას იძენს ამ უკანასკნელის მითოსური ფიგურა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორთან, განსაკუთრებით კი ქალ ავტორებთან, ამასთანავე აღწეროს ის ხერხები, რითაც რეჟისორები მედეას მაგალითზე სხვადასხვა დროსა და სივრცეში, განსხვავებულ კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ გარემოში, პატრიარქალურ კულტურას უპირისპირდებიან, ლტოლვილობის საკითხს, შვილისა და დედის ურთეირთობას, ქალის მძიმე ხვედრს და კომპლექსურ საკითხებს განიხილავენ.

# Abstract

This study explores the intertext of one of the most impressive artistic figures of all time, the famous mythological heroine Medea, in modern cinema. The paper discusses both Georgian and foreign films in which the complexity of Medea's mythological figure acquires various interpretations.

Myths and mythological figures have always been brought to life through diverse mechanisms of individual expression, particularly through cinematography. This tradition continues because myth is a universal system that finds relevance in different eras and cultures through its symbolic meanings. In a globalized world, the reimagining of myths in contemporary cinema facilitates dialogue about identity, values, and the human experience. Films based on mythological themes connect with broader human history, enriching the audience's imagination across different cultures and perspectives.

By analyzing films and literature inspired by the myth of Medea, this paper aims to determine how her mythical figure acquires meaning at different times and through different authors, particularly female authors. It also describes the ways directors use the example of Medea in various contexts to confront patriarchal culture, discuss the issue of refugees, explore the mother-and-child relationship, and address the plight of women and other complex issues.